საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 50/ს
31/01/2023

50-21-4-202301311107

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 30 იანვრის N547/01 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები;

2. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 01 იანვრიდან;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 30 აპრილის N62/ს ბრძანება;

4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო